ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება: ბ48. 482412223

თარიღი: 01/05/2024

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 01 მაისის №31 567 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის გ-49.49241172 განკარგულებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველის 2024 წლის 22 აპრილის №31-1/37 წერილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 01 მაისის № 31 567 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი 1 -ის შესაბამისად .
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" მმართველს (გ. იობიძე)
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია 221274546 CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი